05/11/2024

MES 7 24 0001418516

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2024 წლის 23 ოქტომბერს 12:00 საათზე**. საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Time: Oct. 23, 2024 12:00 PM Tbilisi
Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/86029507530?pwd=IVqKCdz29Ouolb0FbEtF8hCyLO7Iaj.1
Meeting ID: 860 2950 7530
Passcode: 047956

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:
ნინო ბაბალაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის დირექტორი (საბჭოს თავმჯდომარე);
გიორგი გამყრელიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საბჭოს წევრი);
მარიამ ქუჩულორია - პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);
თეა გულუა - გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში, ცოდნის მართვის და ინოვაციების სპეციალისტი (საბჭოს წევრი);
მარიამ ნოზაძე - სსიპ - აწარმოე საქართველოში ადამიანური რესურსების მენეჯერი (საბჭოს წევრი);
სალომე სანაია - სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების მენეჯერი (საბჭოს წევრი);
ნათია გვირჯიშვილი - საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე (საბჭოს წევრი).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
ნია გუგუნავა - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
სოფიკო ბექირაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

დაწესებულების წარმომადგენელი:
სსიპ კოლეჯ „მოდუსი“
ნინო ქავთარაძე - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
მაია დალაქიშვილი - დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში
რუსუდან ქურასბედიანი - ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი
მადონა გოგობერიშვილი - ხარისხის მართვის მენეჯერი
სალომე მაყაშვილი - კოლეჯი მოდუსის მარნეულის მენეჯერი
მატა გორდეზიანი - პროგრამის განმახორციელებელი
ნანა ცერცვაძე - ენერგეტიკის სექტორში სამუშაო ძალის განვითარების პროექტის მენეჯერი
გიორგი ბარბაქაძე - შპს „ჰელიოს ენერჯის“ დირექტორი

ა(ა)იპ კოლეჯ „პრესტიჟი“
კონსტანტინე დოლიძე - დირექტორის მოვალეობის შესრულებელი
ია სარაჯიშვილი - დირექტორის მოადგილე
ნაირა ჭინჭარაშვილი - ხარისხის მართვის მენეჯერი
თეო ხატიაშვილი - ფინანსური მენეჯერი
მარიამ იმერლიშვილი - ბიბლიოთეკარი
გივი იმერლიშვილი - პროფესიული განათლების მასწავლებელი
გიორგი ძამუნაშვილი - პროფესიული განათლების მასწავლებელი

ა(ა)იპ კოლეჯ „ჰორიზონტი“
ნანა ფაჩუაშვილი - დირექტორის მოადგილე
თამარ არობელიძე - ხარისხის მართვის მენეჯერი
სოფიო კვერღელიძე - ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი
სოფო ჩიტრეკაშვილი - საქართველოს ბიზნეს ასოციაციის კვლევის მენეჯერი
მატა გორდეზიანი - საქართველოს განახლებადი ენერგიის განვითარების ასოციაციის პროექტის მენეჯერი
გიორგი მამულაშვილი - შპს “ენერჯი დეველოპნეტ ჯორჯიას“ წარმომადგენელი

სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი
ნინო რამიშვილი - ხარისხის მართვის მენეჯერი
მარიამ ნავდარაშვილი - ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი
ნინო ელოშვილი - დაბა სტეფანწმინდის სასწავლო ფართის სასწავლო პროცესის მენეჯერი
თენგიზ ბულაშვილი - "ჰიდროელექტროსადგურის (ჰეს) ჰიდრო-მექანიკური ნაწილის ექსპლუატაციის ოპერატორი" პროგრამის განმახორციელებელი პირი

სოფო ჩიტრეკაშვილი - საქართველოს ბიზნეს ასოციაციის კვლევის მენეჯერი
მატა გორდეზიანი - საქართველოს განახლებადი ენერგიის განვითარების ასოციაციის პროექტის მენეჯერი
ლევან მარუაშვილი - სს „დარიალი ენერჯის“ ხელმძღვანელი

სსიპ კოლეჯ „ბლექსი“
გიორგი გოგიტიძე - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
ინგა ლომთათიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი
გიორგი ფუტკარაძე - სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერი (შუახევის ლოკაცია)

შპს „სიო“
გიორგი სიორდია - დირექტორი

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი
თამარ ალადაშვილი - დირექტორი
ეკატერინე ბენდელიანი - დირექტორის მოადგილე
ნინო ტაბატაძე - განათლების პროექტების სამსახურის უფროსი
ეთერი ქავთარაძე - მოკლევადიანი და გრძელვადიანი სასწავლო კურსების კოორდინატორი
გიორგი თხელაძე - ტყის ინფორმაციისა და კადასტრის სამმართველოს უფროსი

პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დარგ ის ექსპერტები:
ნათია არაბიძე
ზაალ ხელაძე
თათია გივიშვილი

საბჭოს სხდომა დაიწყო 12:10 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულებების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა: რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.
მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ რეგულაციის მიხედვით, განადგურდება, და ასევე, ნებართვა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წინადადებით, ვინაიდან საბჭოს მდივანი მარიკა ზაქარეიშვილი არ ესწრებოდა სხდომას, საბჭოს მდივნის ფუნქცია შეესრულებინა საბჭოს წევრ გიორგი გამყრელიძეს, რაზეც გიორგი გამყრელიძემ თანხმობა განაცხადა.

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო სხდომის **დღის წესრიგი**:

1. სსიპ კოლეჯ „მოდუსის" „მზის ფოტოელექტრული სისტემების მონტაჟი“ /02082/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

2. ა(ა)იპ კოლეჯ „პრესტიჟის" „მზის ფოტოელექტრული სისტემები“ /02080/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

3. ა(ა)იპ კოლეჯ „ჰორიზონტის“ "ჰიდროელექტროსადგურის (ჰეს) ჰიდრო-მექანიკური ნაწილის ექსპლუატაციის ოპერატორი" /02084/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

4. სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის "ჰიდროელექტროსადგურის (ჰეს) ჰიდრო-მექანიკური ნაწილის ექსპლუატაციის ოპერატორი" /02078/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

5. სსიპ კოლეჯ „ბლექსის“ "ჰიდროელექტროსადგურის (ჰეს) ჰიდრო-მექანიკური ნაწილის ექსპლუატაციის ოპერატორი" /02095/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

6. შპს „სიოს“ „შინმოვლის სპეციალისტი“ /02104/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

7. სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის პროფესიული გადამზადების პროგრამის ,,ტყის ინვენტარიზაცია და ტაქსაცია“ - /01405/ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
შუამდგომლობა წარმოადგინა ცენტრის თანამშრომელმა მაყვალა დარსანიამ, მან განაცხადა, რომ სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯს პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2024 წლის 1 ოქტომბრის №243851 გადაწყვეტილების საფუძველზე მიენიჭა პროფესიული მომზადების პროგრამის „ადაპტური ფიზიკური აღზრდის სპეციალისტი“ ქ. თბილისში განხორციელების უფლება.
გადაწყვეტილებაში დაფიქსირებულია ტექნიკური უზუსტობა პროგრამის სახესთან დაკავშირებით, კერძოდ, გადამზადების პროგრამის ნაცვლად ფიქსირდება პროფესიული მომზადება, აქედან გამომდინარე ვშუამდგომლობთ საბჭოს წინაშე, რომ შევიდეს ცვლილება გადაწყვეტილებაში და ჩამოყალიბდეს სწორი ფორმულირებით. კერძოდ, გადაწყვეტილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით „სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის „ადაპტური ფიზიკური აღზრდის სპეციალისტი“ ქ. თბილისში პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ“. ცვლილება განხორციელდეს „სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის „ადაპტური ფიზიკური აღზრდის სპეციალისტი“ ქ. თბილისში

პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ“ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2024 წლის 1 ოქტომბრის №243851 გადაწყვეტილებაში, კერძოდ გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით „სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯს (ს/კ: 202949159) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - ადაპტური ფიზიკური აღზრდის სპეციალისტი /02005/ ქ. თბილისში.
საბჭოს თავმჯდომარემ თანხმობა განაცხადა აღნიშნული ტექნიკური ხარვეზის რედაქტირებასთან დაკავშირებით და მიმართა საბჭოს წევრებს პოზიციის დასაფიქსირებლად, რის შემდეგაც საბჭოს თითოეულმა წევრმა სიტყვიერად დაადასტურა, რომ ეთანხმებიან აღნიშნულ ცვლილებას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის „ადაპტური ფიზიკური აღზრდის სპეციალისტი“ ქ. თბილისში პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ“ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2024 წლის 1 ოქტომბრის №243851 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს „სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის „ადაპტური ფიზიკური აღზრდის სპეციალისტი“ ქ. თბილისში პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ“ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2024 წლის 1 ოქტომბრის №243851 გადაწყვეტილების სათაურში და პირველ პუნქტში და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით. **(დანართი 1).**

2. სსიპ კოლეჯ „მოდუსის" „მზის ფოტოელექტრული სისტემების მონტაჟი“ /02082/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ნათია არაბიძემ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 17 სექტემბრის №1141158 ბრძანების საფუძველზე დარგის ექსპერტმა ნათია არაბიძემ და ცენტრის წარმომადგენელმა ნონა საათაშვილმა 2024 წლის 25 სექტემბერს განახორციელეს ვიზიტი სსიპ კოლეჯ „მოდუსში" - ქ. მარნეულში, იაღლუჯის დასახლებაში, სადაც განთავსებულია პროგრამის სასწავლო სივრცე. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული გადამზადების პროგრამის „მზის ფოტოელექტრული სისტემების მონტაჟი“ განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.
დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, გაიცა რეკომენდაცია 1.9 ქვესტანდარტთან მიმართებაში
ქვესტანდარტი 1.9 - პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას
დარგის ექსპერტის მიერ, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, გაიცა რეკომენდაცია რეალურ სამუშაო გარემოში პრაქტიკული მეცადინეობის ჩატარების შესახებ, შესაბამისად რეკომენდებულია დაწესებულებამ გააფორმოს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება მინიმუმ ერთ პრაქტიკის ობიექტთან, პროგრამის განხორციელების ვადით, რაც მსმენელებს შესაძლებლობას მისცემს შეიძინონ პრაქტიკული სამუშაო გამოცდილება და გამოიმუშავონ შესაბამისი პრაქტიკული უნარები.
პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ „მზის ფოტოელექტრული სისტემების მონტაჟი“ პროგრამის სახეა - გადამზადება, ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს დონეა - მეოთხე, პროგრამის ხანგრძლივობა 12 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 15, განხორციელების ადგილი - ქ. მარნეული, იაღლუჯის დასახლება.
მან მოკლედ მიმოიხილა სამივე სტანდარტი. წარმოდგენილი პროგრამა უკავშირდება შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და დასაქმების/ მეწარმეობის/პიროვნული განვითარების პერსპექტივებს, რაც დასტურდება ელ. სისტემაში წარმოდგენილი დოკუმენტით პროგრამის საჭიროების დასაბუთების შესახებ.
პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს, ხოლო პროგრამის მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სამუშაო გამოცდილება - ელექტრიკოსის, ან მექანიკოსად მუშაობის გამოცდილება - 1 წელი, ენერგიის განახლებადი წყაროების მოწყობილობების მექანიკოსად - 1 წელი, კვალიფიკაცია პროგრამის შესაბამის დარგში: 071 - ინჟინერია და საინჟინრო საქმე, კვალიფიკაცია პროგრამის შესაბამის სფეროში 0713 - ელექტრობა და ენერგია, ასაკი 18 წელი, აპლიკანტთა შერჩევის ფორმაა - გასაუბრება.
პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით, პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია. სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, სასწავლო პროცესში გამოყენებულია

სწავლების მრავალფეროვანი მეთოდები. მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით.
წარმოდგენილი პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსით, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ადამიანური რესურსის დამადასტურებელი დოკუმენტაციით, სასწავლო გარემოების ვიზუალური დათვალიერებით და წარმოდგენილი სასწავლო რესურსით. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო-სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით სახანძრო უსაფრთხოების კანონმდებლობით დადგენილ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ, ასევე ვიზუალური დათვალიერებით.
რაც შეეხება მესამე სტანდარტს დაწესებულება აცნობიერებს საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის როლსა და ადგილს შესაბამისი დარგის განვითარებაში, აწარმოებს მსმენელთა შერჩევის გამჭვირვალე პროცედურებს, რომელიც შესაბამისობაშია პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან და პირობებთან, უზრუნველყოფს მის მიერ გაწეული საგანმანათლებლო სერვისების შესახებ საზოგადოების სანდო და უტყუარ ინფორმირებას, საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტური განხორციელებისთვის იყენებს საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტურ მექანიზმებს, კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს მონაცემთა ელექტრონულ სისტემაში ასახვას, თანამშრომლობს მის საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან, ახორციელებს დროულ ანგარიშგებას და ინფორმაციის მიწოდებას და გასცემს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის შესაბამისად მომზადებულ კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს.
პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დარგის ექსპერტის მიერ გაცემული რეკომენდაციის გათვალისწინებასთან დაკავშირებით.
ნანი დალაქიშვილი დაინტერესდა რეკომენდაციასთან დაკავშირებით და მიმართა დარგის ექსპერტს განემარტა, რაკი დაწესებულებას, რომელსაც ანალოგიური პროგრამა აქვს წარმოდგენილი, არ ჰქონდა ხელშეკრულება გაფორმებული პრაქტიკის ობიექტთან, რატომ გაიცა რეკომენდაცია მხოლოდ ამ დაწესებულებისთვის, რაზეც დარგის ექსპერტმა ნათია არაბიძემ განაცხადა, რომ კოლეჯ „პრესტიჟის“ განმახორციელებლების კომპეტენცია გარწმუნებს ამაში, თან ადგილზე არის ის ინვენტარი, რითაც შეიძლება სწავლება, დასძინა, რომ მისი აზრით, თავდაპირველ ეტაპზე სსიპ კოლეჯ „მოდუსს“ ნამდვილად სჭირდება პრაქტიკის ობიექტი, მან ასევე აღნიშნა, რომ ეს განპირობებული იყო განმახორციელებელი პირების კომპეტენციით, სწორედ აქედან გამომდინარე უმჯობესი იქნება პრაქტიკის ობიექტთან ჰქონდეთ პირველ ეტაპზე ურთიერთობა.
ამის შემდეგ ნანი დალაქიშვილმა მიმართა კოლეჯის წარმომადგენელს, იყო თუ არა დაწესებულებისთვის რეკომენდაცია მისაღები, რაზეც დაწესებულების დირექტორმა ნინო ქავთარაძემ განაცხადა, რომ რეკომენდაცია გათვალისწინებულ იქნა და ვიზიტის შემდეგ დაამატეს განმახორციელებელი პირები და დაიმატეს პარტნიორი კომპანია, კერძოდ, მათ გააფორმეს ხელშეკრულება ჰელიოს ენერჯისთან, კომპანიასთან, რომელმაც აიღო თავის თავზე პრაქტიკული ნაწილის განხორციელებაში ჩართულობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარე შეუდგა კენჭისყრის პროცედურებს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯ „მოდუსის“ „მზის ფოტოელექტრული სისტემების მონტაჟი“ /02082/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ კოლეჯ „მოდუს“ (ს/კ: 216350829) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - მზის ფოტოელექტრული სისტემების მონტაჟი /02082/ **(დანართი 2).**

3. ა(ა)იპ კოლეჯი "პრესტიჟის“ „მზის ფოტოელექტრონული სისტემები“ /02080/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ნათია არაბიძემ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 4 სექტემბრის №1061668 ბრძანების საფუძველზე მოწვეულმა დარგის ექსპერტმა ნათია არაბიძემ და ცენტრის წარმომადგენელმა, მაია აბდალაძემ 2024 წლის 27 სექტემბერს განახორციელა ვიზიტი ა(ა)იპ კოლეჯ ,,პრესტიჟში“, ქ. თელავში, სადაც განთავსებულია პროგრამის სასწავლო სივრცე. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული გადამზადების პროგრამის ,,მზის ფოტოელექტრონული სისტემები“ განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, რეკომენდაციები არ გაცემულა.
პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის სახეა - გადამზადება, ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს დონეა - მეოთხე, პროგრამის ხანგრძლივობა 12 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 15, განხორციელების ადგილი - ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქ. №1.
მან მოკლედ მიმოიხილა სამივე სტანდარტი. წარმოდგენილი პროგრამა უკავშირდება შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და დასაქმების/ მეწარმეობის/პიროვნული განვითარების პერსპექტივებს, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს, ხოლო პროგრამის მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სამუშაო გამოცდილება - ელექტრიკოსის, ან მექანიკოსად მუშაობის გამოცდილება - 1 წელი, ენერგიის განახლებადი წყაროების მოწყობილობების მექანიკოსად - 1 წელი, კვალიფიკაცია პროგრამის შესაბამის დარგში: 071 - ინჟინერია და საინჟინრო საქმე, კვალიფიკაცია პროგრამის შესაბამის სფეროში 0713 - ელექტრობა და ენერგია, ასაკი 18 წელი, აპლიკანტთა შერჩევის ფორმაა - გასაუბრება.
პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით, პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია. სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, ხოლო სასწავლო პროცესში გამოყენებულია სწავლების მრავალფეროვანი მეთოდები. მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიაურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით.
წარმოდგენილი პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსით, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ადამიანური რესურსის დამადასტურებელი დოკუმენტაციით, სასწავლო გარემოების ვიზუალური დათვალიერებით და წარმოდგენილი სასწავლო რესურსით. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო-სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით სახანძრო უსაფრთხოების კანონმდებლობით დადგენილ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ, ასევე ვიზუალური დათვალიერებით.
რაც შეეხება მესამე სტანდარტს დაწესებულება აცნობიერებს საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის როლსა და ადგილს შესაბამისი დარგის განვითარებაში, აწარმოებს მსმენელთა შერჩევის გამჭვირვალე პროცედურებს, რომელიც შესაბამისობაშია პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან და პირობებთან, უზრუნველყოფს მის მიერ გაწეული საგანმანათლებლო სერვისების შესახებ საზოგადოების სანდო და უტყუარ ინფორმირებას, საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტური განხორციელებისთვის იყენებს საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტურ მექანიზმებს, კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს მონაცემთა ელექტრონულ სისტემაში ასახვას, თანამშრომლობს მის საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან, ახორციელებს დროულ ანგარიშგებას და ინფორმაციის მიწოდებას და გასცემს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის შესაბამისად მომზადებულ კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს.
პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.
ქალბატონმა ნანი დალაქიშვილმა მიმართა დარგის ექსპერტს, პროგრამის სახელწოდებასთან დაკავშირებით, რაზეც დარგის ექსპერტმა ნათია არაბიძემ განმარტა, რომ პროგრამა თავისი შინაარსით არის მზის ფოტოელექტრული სისტემების მონტაჟი და აკმაყოფილებს სახელწოდებას, ასევე დაწესებულების მიერ დამტკიცებულ პროგრამაში არის სწორი სახელწოდება, თუმცა ელ. სისტემაში ატვირთვის დროს დაფიქსირდა ხარვეზი. ნანი დალაქიშვილმა განაცხადა, რომ რადგან დამტკიცებულ პროგრამაში ფიგურირებს „მზის

ფოტოელექტრული სისტემების მონტაჟი“, გადაწყვეტილებაში აისახება ამ ფორმულირებით პროგრამის სახელწოდება, ხოლო შემდგომ დაწესებულებამ უნდა წარმოადგინოს დაკორექტირებული პროგრამა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში გადასაგზავნად.
ნანი დალაქიშვილი ასევე დაინტერესდა განმახორციელებელი პირების კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით და დასძინა, რომ ელექტრონულ სისტემაში არ არის სრულად ატვირთული განმახორციელებლების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, რის საფუძველზე დადგინდა განმახორციელებელი პირების კვალიფიციურობა, რაზეც დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ მათ ვიზიტის დროს შეამოწმეს დამატებით დაწესებულების მიერ წარმოდგენილი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები მატერიალურად.
ნანი დალაქიშვილმა განაცხადა, რომ თუ დამატებითი მტკიცებულებები წარმოდგენილი იყო დაწესებულების მიერ, სასურველია ცენტრში წარმოდგენილი იქნას, რათა საქმის მასალებშიც იყოს ასახული.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებას კომენტარისთვის. დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს, საბჭოს წევრებს. დაინტერესდა დაფინანსებასთან დაკავშირებით, სახელწოდებაში დაფიქსირებული ხარვეზი ხომ არ შეუშლიდა ხელს დაფინანსებაზე დოკუმენტაციის შეტანას, რაზეც საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მათი მხრიდან არის მზაობა, სახელწოდება ჩასწორდეს.
ნანი დალაქიშვილმა განაცხადა, რომ რაკი ექსპერტიც დაეთანხმა, რომ სწავლის შედეგებიდან გამომდინარე სახელწოდება „მზის ფოტოელექტრული სისტემების მონტაჟი“ შეესაბამება შინაარსს, გადაწყვეტილებასაც თუ ამ სახით მიიღებს საბჭო, ცენტრი წერილს გააგზავნის პროფესიული უნარების სააგენტოში, რომ ამ პროგრამაზე იქნა დადებითი გადაწყვეტილება მიღებული. მან ასევე აღნიშნა, რომ სანამ გამოცხადდება მიღება, მანამდე უნდა მოხდეს ელ. სისტემაში პროგრამის სახელწოდების ჩასწორება, ვინაიდან მხოლოდ გადაწყვეტილებას არ ეყრდნობა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა.
ნანი დალაქიშვილმა განაცხადა, რომ დიდი პატივისცემის მიუხედავად დარგის ექსპერტის მიმართ და კოლეჯ „პრესტიჟის“ განმახორციელებლების მიმართ, განმახორციელებელი პირების კვალიფიკაციის და კომპეტენციის თაობაზე დასკვნაშიც ეს საკითხი არ არის ასახული, იგივე რეკომენდაციას პრაქტიკის ობიექტთან თანამშრომლობის გაფორმების თაობაზე, მათთვისაც ჩათვლიდა საჭიროდ. რაზეც დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ ზოგადად პრაქტიკის ობიექტი ზედმეტი არ იქნება, უბრალოდ მას მიაჩნია, რომ პრაქტიკის ობიექტის გარეშეც სრულფასოვნად შეძლებს კოლეჯი პროგრამის განხორციელებას, თუმცა თუ ამის საშუალება იქნება, რასაკვირველია, ეს ცუდი არ იქნება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა კოლეჯს, რომ სახელწოდებასთან დაკავშირებული ცვლილების გარდა, ის დამატებითი დოკუმენტაცია, რითაც დასტურდება განმახორციელებელი პირების კვალიფიკაცია, რაც არ არის ბაზაში ასახული და ქალბატონმა ნათიამ ვიზიტის დროს ადგილზე შეისწავლა, ოფიციალური წერილით წარმოდგენილი იქნას ცენტრში, რომ შეძლოს სახელწოდებასთან ერთად, ბაზაში დაემატოს დოკუმენტაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ კოლეჯ „პრესტიჟის“ „მზის ფოტოელექტრული სისტემების მონტაჟი“/02080/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ კოლეჯ „პრესტიჟს“ (ს/კ: 231287005) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - მზის ფოტოელექტრული სისტემების მონტაჟი /02080/ **(დანართი 3).**

4. ა(ა)იპ კოლეჯი "ჰორიზონტის“ „ჰიდროელექტროსადგურის (ჰეს) ჰიდრო-მექანიკური ნაწილის ექსპლუატაციის ოპერატორი“ /02084/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ზაალ ხელაძემ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 17 სექტემბრის №1143546 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის
უფროსმა სპეციალისტმა სოფიკო ბექირაძემ და დარგის ექსპერტმა ზაალ ხელაძემ შეისწავლეს პროფესიული მომზადების პროგრამის „ჰიდროელექტროსადგურის (ჰეს) ჰიდრო-მექანიკური ნაწილის ექსპლუატაციის ოპერატორი“ განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი და 2024 წლის 8 ოქტომბერს განახორციელეს ვიზიტი საგანმანათლებლო დაწესებულებაში.
დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, რეკომენდაციები არ გაცემულა.
პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა რომ პროგრამის სახეა - მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს დონეა - მესამე, პროგრამის ხანგრძლივობა 28 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 15, განხორციელების ადგილი - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი გორაბერეჟოული.

მან მოკლედ ისაუბრა სამივე სტანდარტთან მიმართებაში. პროგრამა უკავშირდება შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და დასაქმების/მეწარმეობის/პიროვნული განვითარების პერსპექტივებს, რასაც ცხადყოფს საქართველოს განახლებადი ენერგიის განვითარების ასოციაციის მიერ 2023 წელს ასოციაციის წევრების ფარგლებში ჩატარებული რაოდენობრივი გამოკითხვა, რომლის შედეგებმაც აჩვენა, რომ ჰიდროენერგეტიკის დარგში კვალიფიციურ კადრებზე მნიშვნელოვანი დეფიციტია.
პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს, ხოლო პროგრამის მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა - საბაზო განათლება, ასაკი - 18 წელი, აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება.
პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით, პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია. სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას, კოლეჯს გაფორმებული აქვს პრაქტიკის ობიექტთან თანამშრომლობის ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს პროფესიული მომზადების პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას პარტნიორი კომპანიის ბაზაზე. მსმენელები პრაქტიკის ობიექტზე რეალურ სამუშაო გარემოში გაივლიან სწავლებას და შეიძენენ პრაქტიკულ უნარებს. მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით.
წარმოდგენილი პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსით, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ადამიანური რესურსის დამადასტურებელი დოკუმენტაციით, სასწავლო გარემოების ვიზუალური დათვალიერებით და წარმოდგენილი სასწავლო რესურსით. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო-სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით სახანძრო უსაფრთხოების კანონმდებლობით დადგენილ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ, ასევე ვიზუალური დათვალიერებით.
რაც შეეხება მესამე სტანდარტს, დაწესებულება აცნობიერებს საკუთარი, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის როლსა და ადგილს შესაბამისი დარგის განვითარებაში, აწარმოებს მსმენელთა შერჩევის გამჭვირვალე პროცედურებს, რომელიც შესაბამისობაშია პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან და პირობებთან, ასევე უზრუნველყოფს მის მიერ გაწეული საგანმანათლებლო სერვისების შესახებ საზოგადოების სანდო და უტყუარ ინფორმირებას, საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტური განხორციელებისთვის იყენებს საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტურ მექანიზმებს, კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს მონაცემთა ელექტრონულ სისტემაში ასახვას, თანამშრომლობს მის საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან, ახორციელებს დროულ ანგარიშგებას და ინფორმაციის მიწოდებას და გასცემს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის შესაბამისად მომზადებულ კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს.
პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, დაეფიქსირებინა პოზიცია.
კოლეჯის წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს, საბჭოს წევრებს და დამსწრე საზოგადოებას წარმოდგენილი პროგრამის განხორციელების შესაძლებლობისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ კოლეჯ "ჰორიზონტის“ „ჰიდროელექტროსადგურის (ჰეს) ჰიდრო-მექანიკური ნაწილის ექსპლუატაციის ოპერატორი“ /02084/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ კოლეჯ "ჰორიზონტს“ (ს/კ:237079497) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ჰიდროელექტროსადგურის (ჰეს) ჰიდრო-მექანიკური ნაწილის ექსპლუატაციის ოპერატორი /02084/ **(დანართი 4).**

5. სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის „ჰიდროელექტროსადგურის (ჰეს) ჰიდრო-მექანიკური ნაწილის ექსპლუატაციის ოპერატორი“ /02078/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ზაალ ხელაძემ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 17

სექტემბრის №1143845 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა მაია აბდალაძემ და დარგის ექსპერტმა 2024 წლის 23 სექტემბერს განახორციელეს ვიზიტი სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის დაბა სტეფანწმინდის ფილიალში, ფიცხალაურის ქ. №13-ში.
ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული მომზადების პროგრამის ,,ჰიდროელექტროსადგურის (ჰეს) ჰიდრო-მექანიკური ნაწილის ექსპლუატაციის ოპერატორი“ განხორციელების უფლების მოპოვების მიზნით სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.
დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, რეკომენდაციები არ გაცემულა
პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის სახეა - მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს დონეა - მესამე, პროგრამის ხანგრძლივობა 28 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 10, განხორციელების ადგილი - ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, დაბა სტეფანწმინდა, ფიცხელაურის ქ. №13.
მან მოკლედ ისაუბრა სამივე სტანდარტთან მიმართებაში. პროგრამა უკავშირდება შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და დასაქმების/მეწარმეობის/პიროვნული განვითარების პერსპექტივებს, რასაც ცხადყოფს საქართველოს განახლებადი ენერგიის განვითარების ასოციაციის მიერ 2023 წელს ასოციაციის წევრების ფარგლებში ჩატარებული რაოდენობრივი გამოკითხვა, რომლის შედეგებმაც აჩვენა, რომ ჰიდროენერგეტიკის დარგში კვალიფიციურ კადრებზე მნიშვნელოვანი დეფიციტია.
პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს, ხოლო პროგრამის მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა - საბაზო განათლება, ასაკი - 18 წელი, აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება.
პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით, პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია. სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას, კოლეჯს გაფორმებული აქვს პრაქტიკის ობიექტთან თანამშრომლობის ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს პროფესიული მომზადების პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას პარტნიორი კომპანიის ბაზაზე. მსმენელები პრაქტიკის ობიექტზე რეალურ სამუშაო გარემოში გაივლიან სწავლებას და შეიძენენ პრაქტიკულ უნარებს. მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით.
წარმოდგენილი პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსით, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ადამიანური რესურსის დამადასტურებელი დოკუმენტაციით, სასწავლო გარემოების ვიზუალური დათვალიერებით და წარმოდგენილი სასწავლო რესურსით. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო-სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით სახანძრო უსაფრთხოების კანონმდებლობით დადგენილ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ, ასევე ვიზუალური დათვალიერებით.
რაც შეეხება მესამე სტანდარტს, დაწესებულება აცნობიერებს საკუთარი, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის როლსა და ადგილს შესაბამისი დარგის განვითარებაში, აწარმოებს მსმენელთა შერჩევის გამჭვირვალე პროცედურებს, რომელიც შესაბამისობაშია პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან და პირობებთან, ასევე უზრუნველყოფს მის მიერ გაწეული საგანმანათლებლო სერვისების შესახებ საზოგადოების სანდო და უტყუარ ინფორმირებას, საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტური განხორციელებისთვის იყენებს საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტურ მექანიზმებს, კანონმდებლობით დადგენილი წესით

ახორციელებს მონაცემთა ელექტრონულ სისტემაში ასახვას, თანამშრომლობს მის საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან, ახორციელებს დროულ ანგარიშგებას და ინფორმაციის მიწოდებას და გასცემს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის შესაბამისად მომზადებულ კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს.
პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.
საბჭოს წევრმა ნათია გვირჯიშვილმა, მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს და აღნიშნა, რომ ძალიან დიდი შრომა არის გაწეული და ეს პროფესია ძალია მნიშვნელოვანია შრომის ბაზრისთვის, ასევე მან მადლობა გადაუხადა დონორ ორგანიზაციას, კერძოდ, USAID-ს და იმედი გამოთქვა, რომ გაგრძელდება ეს თანამშრომლობა წარმატებით, მან ასევე მადლობა გადაუხადა კოლეჯებს, რომლებიც თანამშრომლობდნენ ამ პროცესებში.
საბჭოს თავმჯდომარემ წარმატებები უსურვა დაწესებულებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის „ჰიდროელექტროსადგურის (ჰეს) ჰიდრო-მექანიკური ნაწილის ექსპლუატაციის ოპერატორი“ /02078/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯს (ს/კ: 236098851) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ჰიდროელექტროსადგურის (ჰეს) ჰიდრო-მექანიკური ნაწილის ექსპლუატაციის ოპერატორი /02078/ **(დანართი 5).**

6. სსიპ - კოლეჯ „ბლექსის“ „ჰიდროელექტროსადგურის (ჰეს) ჰიდრო-მექანიკური ნაწილის ექსპლუატაციის ოპერატორი“ /02097/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ზაალ ხელაძემ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 17 სექტემბრის №1143542 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა მაია აბდალაძემ და დარგის ექსპერტმა 2024 წლის 9 ოქტომბერს განახორციელეს ვიზიტი სსიპ კოლეჯ ,,ბლექსის“ შუახევის ლოკაციაზე. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული მომზადების პროგრამის "ჰიდროელექტროსადგურის (ჰეს) ჰიდრო-მექანიკური ნაწილის ექსპლუატაციის ოპერატორი“ განხორციელების უფლების მოპოვების მიზნით სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.
დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, რეკომენდაციები არ გაცემულა.
პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა რომ პროგრამის სახეა - პროფესიული მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს დონეა - მესამე, პროგრამის ხანგრძლივობა 28 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 12, განხორციელების ადგილი - შუახევის მუნიციპალიტეტი, ილია ჭავჭავაძის ქ. №8.
მან მოკლედ ისაუბრა სამივე სტანდარტთან მიმართებით. პროგრამა უკავშირდება შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და დასაქმების/მეწარმეობის/პიროვნული განვითარების პერსპექტივებს, რასაც ცხადყოფს საქართველოს განახლებადი ენერგიის განვითარების ასოციაციის მიერ 2023 წელს ასოციაციის წევრების ფარგლებში ჩატარებული რაოდენობრივი გამოკითხვა, რომლის შედეგებმაც აჩვენა, რომ ჰიდროენერგეტიკის დარგში კვალიფიციურ კადრებზე მნიშვნელოვანი დეფიციტია.
პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს, ხოლო პროგრამის მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა - საბაზო განათლება, ასაკი - 18 წელი, აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება.
პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით, პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია. სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, ხოლო სასწავლო პროცესში გამოყენებულია სწავლების მრავალფეროვანი მეთოდები, პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას, კოლეჯს გაფორმებული აქვს პრაქტიკის ობიექტთან თანამშრომლობის ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს პროფესიული მომზადების პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას პარტნიორი კომპანიის ბაზაზე. მსმენელები პრაქტიკის ობიექტზე რეალურ სამუშაო გარემოში გაივლიან სწავლებას და შეიძენენ პრაქტიკულ უნარებს. მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით.
წარმოდგენილი პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსით, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ადამიანური რესურსის დამადასტურებელი დოკუმენტაციით, სასწავლო გარემოების ვიზუალური დათვალიერებით და წარმოდგენილი სასწავლო რესურსით.

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო-სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით სახანძრო უსაფრთხოების კანონმდებლობით დადგენილ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ, ასევე ვიზუალური დათვალიერებით.
რაც შეეხება მესამე სტანდარტს, დაწესებულება აცნობიერებს საკუთარი, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის როლსა და ადგილს შესაბამისი დარგის განვითარებაში, აწარმოებს მსმენელთა შერჩევის გამჭვირვალე პროცედურებს, რომელიც შესაბამისობაშია პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან და პირობებთან, ასევე უზრუნველყოფს მის მიერ გაწეული საგანმანათლებლო სერვისების შესახებ საზოგადოების სანდო და უტყუარ ინფორმირებას, საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტური განხორციელებისთვის იყენებს საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტურ მექანიზმებს, კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს მონაცემთა ელექტრონულ სისტემაში ასახვას, თანამშრომლობს მის საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან, ახორციელებს დროულ ანგარიშგებას და ინფორმაციის მიწოდებას და გასცემს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის შესაბამისად მომზადებულ კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს.
პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა კოლეჯის წარმომადგენლებს კომენტარისთვის, კოლეჯის დირექტორმა გიორგი გოგიტიძემ მადლობა გადაუხადა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, დარგის ექსპერტს მხარდაჭერისთვის, ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯ ,,ბლექსის“ „ჰიდროელექტროსადგურის (ჰეს) ჰიდრო-მექანიკური ნაწილის ექსპლუატაციის ოპერატორი“ /02095/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ - კოლეჯ ,,ბლექსს“ (ს/კ: 245610398) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ჰიდროელექტროსადგურის (ჰეს) ჰიდრო-მექანიკური ნაწილის ექსპლუატაციის ოპერატორი /02095/ **(დანართი 6).**

ა(ა)იპ კოლეჯ „ჰორიზონტის“, სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის და სსიპ კოლეჯ „ბლექსის“ საკითხების დასრულების შემდეგ, დარგის ექსპერტმა მოკლედ ისაუბრა წარმოდგენილი პროგრამის აქტუალობასა და მნიშვნელობაზე. მან განაცხადა, რომ

საქართველოში ჰიდროენერგეტიკის დარგში კვალიფიციურ კადრებზე მნიშვნელოვანი დეფიციტია. აღნიშნული დეფიციტი ეხება, როგორც ჰესის მშენებლობის ეტაპს, ასევე ძალიან მწვავეა პრობლემა აშენებული ჰესების ექსპლუატაციის მხრივაც, რადგან განსაკუთრებით საქართველოს რეგიონებში არ მოიძებნებიან ადამიანები, ვინც ჰესის ჰიდრო-მექანიკური დანადგარების ოპერირებასა და მოვლა-პატრონობას შეძლებენ.
საქართველოს ბიზნეს ასოციაციისა და საქართველოს განახლებადი ენერგიების განვითარების ასოციაციის წევრი კომპანიების გამოკითხვის შედეგად, გამოიკვეთა, რომ სექტორს გააჩნია კვალიფიციური კადრების მწვავე დეფიციტი. აღნიშნულ პრობლემას კიდევ უფრო ამძაფრებს ჰიდროელექტროსადგურის ოპერატორის პროგრამის არარსებობა, რომელიც საჭირო და აუცილებელი პროფესიაა თითოეული ჰიდროელექტროსადგურის გამართულად მუშაობისთვის, მით უფრო, დღევანდელ რეალობაში, როდესაც დარგი ვითარდება და ქვეყანაში ათეულობით ახალი ჰიდროელექტროსადგური შენდება და აშენდება, რასაც საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის მიერ მომზადებული ათწლიანი (2021 – 2031) გეგმაც ადასტურებს.
ჰიდროელექტროსადგურის (ჰეს) ჰიდრო-მექანიკური ნაწილის ექსპლუატაციის ოპერატორის პროგრამის დანერგვა და განხორციელება კრიტიკულად მნიშვნელოვანია ენერგეტიკული სექტორისა და მთლიანად, ეკონომიკის მდგრადი განვითარებისთვის, შესაბამისად, საქართველოს ბიზნეს ასოციაციამ, საქართველოს განახლებადი ენერგიების განვითარების ასოციაციასთან ერთად, დაიწყო მუშაობა პროგრამის შემუშავებაზე და განაცხადი შეიტანა აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს "დამსაქმებლები პროფესიული განათლებისთვის" პროგრამის საგრანტო კონკურსზე დაფინანსების მოსაპოვებლად. შედეგად, პროფესიული მომზადების პროგრამის შემუშავებისა და დანერგვისთვის მიიღო ფინანსური მხარდაჭერა გრანტის სახით.
დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ კვალიფიციური საკადრო რესურსებით უზრუნველყოფა მნიშვნელოვნად დაეხმარება არამარტო ზემოხსენებულ კომპანიებს, რომლებიც წარმოადგენენ მსხვილ დამსაქმებლებს ენერგეტიკულ სექტორში, არამედ საქართველოს რეგიონებში წარმოდგენილ სხვა კომპანიების მფლობელობაში არსებულ ჰესებსაც.
განსაკუთრებული აღფრთოვანება გამოხატა დარგის ექსპერტმა პრაქტიკის ობიექტებთან დაკავშირებით და დასძინა, რომ სამივე პრაქტიკის ობიექტი სხვადასხვა ოპერაციებს ასრულებს, აღჭურვილია ისეთი უახლესი ტექნოლოგიებით, რომ მოქალაქეების ცნობადობის ასამაღლებლად ექსკურსიებიც შეიძლება მოეწყოს. მან ასევე ხაზი გაუსვა სამივე ჰესის განსხვავებას, ვინაიდან ერთი მუდმივი მოდინების ჰესია, მეორე მცირე მოდინების, ხოლო მესამე, რომელიც სსიპ კოლეჯ „ბლექსის' პარტნიორია სამარქაფო, ვინაიდან სისტემაში საჭიროების შემთხვევაში შედის.
დარგის ექსპერტმა ხაზი გაუსვა ამ პროგრამის მნიშვნელობას ქვეყნისთვის და სამივე დაწესებულებას წარმატებები უსურვა.

7. შპს „სიოს" „შინმოვლის სპეციალისტი"/02104/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ნათია გივიშვილმა, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 17 სექტემბრის №1143544 ბრძანების საფუძველზე პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტმა თათია გივიშვილმა და ცენტრის წარმომადგენელმა, მაია აბდალაძემ 2024 წლის 23 აპრილს განახორციელა ვიზიტი შპს „სიოში“, ქ. ქუთაისში, სადაც განთავსებულია პროგრამის სასწავლო სივრცე. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული გადამზადების პროგრამის ,,შინმოვლის სპეციალისტი“ განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.
დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, რეკომენდაციები არ გაცემულა.
პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა რომ ,,შინმოვლის სპეციალისტი“ პროგრამის სახეა - მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეა - მეოთხე, პროგრამის ხანგრძლივობა 8 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 20, განხორციელების ადგილი: ქ. ქუთაისი, გალაქტიონ ტაბიძის ქ. № 72/დ.
მან მოკლედ ისაუბრა სამივე სტანდარტთან დაკავშირებით.
წარმოდგენილი პროგრამა უკავშირდება შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და დასაქმების/მეწარმეობის/პიროვნული განვითარების პერსპექტივებს, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს, ხოლო პროგრამის მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. პროგრამაზე ,,შინმოვლის სპეციალისტი“ დაშვების წინაპირობაა - სრული ზოგადი განათლება, ასაკი - 18 წელი, აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება.
პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით, პროგრამების ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია. სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, სასწავლო პროცესში გამოყენებულია სწავლების მრავალფეროვანი მეთოდები. პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას, პროგრამის განხორციელებისას გათვალისწინებულია როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული კომპონენტი. პროგრამა განხორციელდება კოლეჯის AC სასწავლო გარემოში, რომელიც აღჭურვილია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსით, მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით.
წარმოდგენილი პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსით, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ადამიანური რესურსის დამადასტურებელი დოკუმენტაციით, სასწავლო გარემოების ვიზუალური დათვალიერებით და წარმოდგენილი სასწავლო რესურსით. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო-სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით სახანძრო უსაფრთხოების კანონმდებლობით დადგენილ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ, ასევე ვიზუალური დათვალიერებით.
რაც შეეხება მესამე სტანდარტს, დაწესებულება აცნობიერებს საკუთარი, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის როლსა და ადგილს შესაბამისი დარგის

განვითარებაში, აწარმოებს მსმენელთა შერჩევის გამჭვირვალე პროცედურებს, რომელიც შესაბამისობაშია პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან და პირობებთან, ასევე უზრუნველყოფს მის მიერ გაწეული საგანმანათლებლო სერვისების შესახებ საზოგადოების სანდო და უტყუარ ინფორმირებას, საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტური განხორციელებისთვის იყენებს საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტურ მექანიზმებს, კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს მონაცემთა ელექტრონულ სისტემაში ასახვას, თანამშრომლობს მის საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან, გასცემს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის შესაბამისად მომზადებულ კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს.
პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ გაეზიარებინათ საბჭოსთვის განვლილი სამ წლიანი გამოცდილება.
კოლეჯის დირექტორმა გიორგი სიორდიამ განაცხადა, რომ კურსდამთავრებულები დასაქმდნენ თავშესაფრების სამსახურში, რომელიც ძალიან მოთხოვნადია დასავლეთ საქართველოში და განსაკუთრებით იმერეთში, ბევრი ასეთი დაწესებულება გაიხსნა. სწორედ აქედან წამოვიდა რეგიონებში დამსაქმებლისგან მოთხოვნა, რომ კადრები გადაემზადებინათ.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ ჰქონდა კოლეჯს სტატისტიკა დასაქმებულ კურსდამთავრებულებთან დაკავშირებით, რაზეც კოლეჯის დირექტორმა აღნიშნა, რომ სერტიფიკატს იყენებენ საზღვარგარეთ გასვლისთვის, მან დასძინა, რომ ისრაელთან ჰქონდათ ხელშეკრულება გაფორმებული და კურსდამთავრებულები მიჰყავდათ დასასაქმებლად, მან ასევე აღნიშნა, რომ ისინი თანამშრომლობენ დასაქმების ხელშეწყობის სააგენტოსთან და თვითონ სააგენტო აგზავნის მსმენელებს გადასამზადებლად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს „სიოს“ „შინმოვლის სპეციალისტი“ /02104/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს „სიოს“ (ს/კ: 212797945) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - შინმოვლის სპეციალისტი/02104/ **(დანართი 7).**

8. სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის პროფესიული გადამზადების პროგრამის „ტყის ინვენტარიზაცია და ტაქსაცია“ - /01405/ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ცენტრის წარმომადგენელმა ნია გუგუნავამ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 23 სექტემბრის №1185392 ბრძანების საფუძველზე დარგის ექსპერტმა კობა სილაგაძემ და ცენტრის წარმომადგენელმა ნია გუგუნავამ 2024 წლის 27 სექტემბერს განახორციელეს ვიზიტი სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრში, ქ. თბილისში, მარშალ გელოვანის გამზირი №32გ, სადაც განთავსებულია პროგრამის სასწავლო სივრცე. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული გადამზადების პროგრამის ,,ტყის ინვენტარიზაცია და ტაქსაცია“ განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება მონიტორინგის გზით.

ვიზიტის დროს ექსპერტისა და ცენტრის წარმომადგენლის მიერ განხორციელდა გასაუბრება ცენტრის წარმომადგენლებთან, საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესების კოორდინატორთან, პროგრამის განმახორციელებლებთან და კურსდამთავრებულებთან. ვიზიტის დროს დათვალიერდა პროგრამის სასწავლო აუდიტორია, სასწავლო და მატერიალური რესურსი, შედგა გასაუბრება პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელთან (სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო).

ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, გაიცა რეკომენდაცია 1.10 ქვესტანდარტთან მიმართებაში.

ქვესტანდარტი 1.10 - მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას

სასურველია, შექმნილ შეფასების ინსტრუმენტებში, სადაც მოცემულია პრაქტიკული უნარების შესაფასებელი დავალებები, დეტალურად იქნას გაწერილი „ჩექლისთი“, შეფასების პროცესის მეტი ობიექტურობისა და გამჭვირვალობისთვის;

სასურველია, შეფასების ინსტრუმენტებს თან ახლდეს თავფურცელი, სადაც გაწერილი იქნება დეტალები, გამოცდის ჩატარების სპეციფიკის შესახებ (გამოცდის ხანგრძლივობა, შეფასების მიმართულება, შეფასების მტკიცებულება, შეფასების გარემოს აღწერა, შეფასებისთვის საჭირო რესურსი, სწავლის შედეგების დადასტურების პირობები და სხვა).

მან მოკლედ მიმოიხილა მეორე და მესამე სტანდარტი.

ცენტრის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსით.

დაწესებულებას პროფესიული გადამზადების პროგრამის განმახორციელებლად, პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების დროს წარმოდგენილი ჰყავდა 6 პირი, პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების პროცესში, დაწესებულებამ მდგრადობის მიზნით დაიმატა კიდევ 4 განმახორციელებელი პირი, პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის სწავლების მიზნით ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ თითოეულ მსმენელს უსასყიდლოდ გადაეცა სახელმძღვანელო მატერიალური სახით და სწავლების მიმდინარეობისას მიეცათ წვდომა სააგენტოს მფლობელობაში არსებულ თანამედროვე, მრავალფეროვან ინვენტარსა და აღჭურვილობებზე. პრაქტიკული სწავლება განხორციელდა ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ტყეებში.

მან ასევე ისაუბრა პროგრამაზე ჩარიცხულ მსმენელებთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ პროგრამაზე პირველი ნაკადის რეგისტრაციისას სულ დარეგისტრირდა 37 პირი. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (ბაკალავრის დიპლომი შესაბამის სფეროში და ჯანმრთელობის ცნობა) დააკმაყოფილა 23-მა აპლიკანტმა. საბოლოოდ ჩაირიცხა 17 მსმენელი. პროგრამა წარმატებით დაასრულა 12-მა მსმენელმა. მეორე ნაკადის შემთხვევაში სულ დარეგისტრირდა 20, წინაპირობები დააკმაყოფილა 18-მა აპლიკანტმა, საბოლოოდ ჩაირიცხა 16 მსმენელი, პროგრამა დაასრულა 15 მსმენელმა.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ ცენტმა წარმოადგინა განმახორციელებელი პირებისა და მსმენელების მიერ სასწავლო პროცესის/პროგრამის შეფასების შევსებული კითხვარი, ასევე სასწავლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის შეფასების კითხვარი, პრაქტიკული სწავლების განხორციელების პროცესს აკვიდებოდა სასწავლო პროცესის კოორდინატორი.

კითხვარების ანალიზის დროს დაფიქსირებული იქნა რეკომენდაციები - გაიზარდოს ტაქსაციაზე მეცადინეობის ხანგრძლივობა და ტაქსაციის პროცესი ჩატარდეს მრავალფეროვან ტყეში (კერძოდ მრავალი სახეობის მქონე ტყეში), შემცირდეს ინვენტარიზაციის მეთოდიკის სასწავლო პერიოდი, რის ხარჯზეც, შეიძლება გაიზარდოს ტაქსაციის ნაწილი, გაიზარდოს საველე ნაწილის ხანგრძლივობა.

ვიზიტის ფარგლებში შედგა გასაუბრება ელექტრონულ ბაზაზე პასუხისმგებელ პირთან, გადამოწმდა დაწესებულების ელ. სისტემა https://e-vet.emis.ge/. გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ დაცული იყო ინფორმაციის ატვირთვის მოთხოვნები და ყველა მსმენელზე სრულფასოვანი ინფორმაცია იყო ასახული მონაცემთა ელექტრონულ სისტემაში, ასევე ვიზიტის ფარგლებში შემოწმდა, თუ რამდენად იცავს დაწესებულება საკუთარ რეგულაციებს და დროულად ახდენს თუ არა ანგარიშგებასა თუ ინფორმირებას. დგინდება, რომ ცენტრი სათანადოდ თანამშრომლობს მის საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან, ახორციელებს დროულ ანგარიშგებას და ინფორმაციის მიწოდებას.

სერტიფიკატების გაცემასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ სერტიფიკატის (დანართები) გაცემასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება დაწესებულების პროფესიული განათლების დამადასტურებელი სერტიფიკატის ფორმების გამოყენებისა და აღრიცხვა - ანგარიშგების წესით. დაწესებულებას დღემდე გაცემული აქვს 12 სერიტიფიკატი პირველ ნაკადზე და 15 სერტიფიკატი მეორე ნაკადზე. მონიტორინგის ვიზიტის დროს გადამოწმდა სერტიფიკატის ნიმუში, შევსების სისწორე და გაცემის პროცედურა მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტების ჟურნალში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს კომენტარისთვის. დაწესებულების წარმომადგენელმა ნინო ტაბატაძემ განაცხადა, რომ ისინი უკვე მესამე წელია ახორციელებენ ამ პროგრამას და ორი ნაკადი ჰქონდათ საბოლოო ჯამში გამოშვებული, ისინი პროგრამის განახლებას გეგმავენ მსმენელების რეკომენდაციების საფუძველზე, ამასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მსმენელების რეკომენდაციაა პრაქტიკული ნაწილის გაზრდა და ასევე გარკვეული თეორიული კომპონენტის თემატიკაში ცვლილების შეტანა, რასაც ისინი გეგმავენ განმახორციელებლებთან ერთად.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც მიენიჭათ პროგრამის განხორციელების უფლება და ისინი პასუხისმგებლობით მოეკიდნენ ამ პირველ გამოცდილებას, ასევე, მათ მოიძიეს დონორი პროგრამის განხორციელების ფარგლებში, ვინაიდან პრაქტიკული კომპონენტი, ორ კვირიანი, ფინანსდებოდა პროექტის ფარგლებში დონორის მიერ, ხოლო ანაზღაურების და ტრანსპორტირების ფარგლებში პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ, შესაბამისად, განხორციელების პროცესთან ერთად, ისინი აქტიურად მუშაობდნენ დაფინანსების საკითხებთან დაკავშირებით, რაც შეეხება პროგრამის განახლებას, ისინი გეგმავენ წლის დასაწყისში ამ პროცესს და ფიქრობენ, რომ მომავალი წლის ნაკადი განხორციელდება განახლებული პირობებით, გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინების საფუძველზე.
საბჭოს თავმჯდომარემ მოიწონა დაწესებულების პრაქტიკა კურსდამთავრებულების რეკომენდაციების გათვალისწინებასთან დაკავშირებით და მათ წარმატებები უსურვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის "ტყის ინვენტარიზაცია და ტაქსაცია“ პროფესიული გადამზადების პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტისა და „სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის პროფესიული გადამზადების პროგრამის ,,ტყის ინვენტარიზაცია და ტაქსაცია“ განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ“ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2022 წლის 13 სექტემბრის №1058791 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
საბჭოს აპარატის დასკვნის, იურიდიული პირის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრში (ს/კ: 206351730) ,,ტყის ინვენტარიზაცია და ტაქსაცია“ პროფესიული გადამზადების პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით. ცვლილება განხორციელდეს „სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის პროფესიული გადამზადების პროგრამის ,,ტყის ინვენტარიზაცია და ტაქსაცია“ განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ“ პროფესიულ მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2022 წლის 13 სექტემბრის №1058791 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 8).**

საბჭოს სხდომაზე აღინიშნა, რომ სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა ცენტრში წარმოადგინა წერილი მიმდინარე წლის 2 ოქტომბერს, წერილის თანახმად სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მისამართი შეიცვალა მარშალ გელოვანის გამზირის გადანომვრის შედეგად და №6-ის ნაცვლად შენობის მდებარეობა განისაზღვრა მისამართზე - მარშალ გელოვანის 32გ.

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა ითხოვა აღნიშნული მისამართი განსაზღვრულიყო ცენტრის პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების ადგილად. აქედან გამომდინარე, უნდა შევიდეს ცვლილება პროფესიული გადამზადების პროგრამის „გარემოსდაცვითი მმართველი“ და პროფესიული მომზადების პროგრამის „სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის კლიმატგონივრული დაგეგმვა“ გადაწყვეტილებების დანართებში.

9. საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის პროფესიული გადამზადების პროგრამის „გარემოსდაცვითი მმართველი“ განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ“ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2022 წლის 13 სექტემბრის №1058793 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
იურიდიული პირის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს „სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის პროფესიული გადამზადების პროგრამის „გარემოსდაცვითი მმართველი“ განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ“ პროფესიულ მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2022 წლის 13 სექტემბრის №1058793 გადაწყვეტილებაში, კერძოდ გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 9).**

10. საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის პროფესიული მომზადების პროგრამის „სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის კლიმატგონივრული დაგეგმვა“ განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ“ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2022 წლის 13 სექტემბრის №1058797 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
იურიდიული პირის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს „სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის პროფესიული მომზადების პროგრამის „სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის კლიმატგონივრული დაგეგმვა“

განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ“ პროფესიულ მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2022 წლის 13 სექტემბრის №1058797 გადაწყვეტილებაში, კერძოდ გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 10).**

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დასრულდა: 14:15 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების
მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბაბალაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების
მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
გამყრელიძე გიორგი

დანართი 1

პროგრამის კოდი	**პროგრამის დასახელება**	**პროგრამის სახე**	**ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე**	**პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში**	**სწავლების ენა**	**მსმენელთა ზღვრული რაოდენობა**	**პროგრამის განხორციელების ადგილი**
02005	ადაპტური ფიზიკური აღზრდის სპეციალისტი	პროფესიული გადამზადება	მეოთხე	23	ქართული	20	ქ. თბილისი. ე. ნინოშვილის ქ. №55

დანართი 2

პროგრამის კოდი	**პროგრამის დასახელება**	**პროგრამის სახე**	**ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე**	**პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში**	**სწავლების ენა**	**მსმენელთა ზღვრული რაოდენობა**	**პროგრამის განხორციელების ადგილი**
02082	მზის ფოტოელექტრული სისტემების მონტაჟი	პროფესიული გადამზადება	მეოთხე	12	ქართული	15	ქ. მარნეული, იაღლუჯის დასახლება

დანართი 3

პროგრამის კოდი	**პროგრამის დასახელება**	**პროგრამის სახე**	**ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე**	**პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში**	**სწავლების ენა**	**მსმენელთა ზღვრული რაოდენობა**	**პროგრამის განხორციელების ადგილი**
02080	მზის ფოტოელექტული სისტემების მონტაჟი	პროფესიული გადამზადება	მეოთხე	12	ქართული	15	ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქ. №1

დანართი 4

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02084	ჰიდროელექტრო სადგურის (ჰეს) ჰიდრო-მექანიკური ნაწილის ექსპლუატაციის ოპერატორი	პროფესიული მომზადება	მესამე	28	ქართული	15	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი გორაბერეჟოული

დანართი 5

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02078	ჰიდროელექტრო სადგურის (ჰეს) ჰიდრო-მექანიკური ნაწილის ექსპლუატაციის ოპერატორი	პროფესიული მომზადება	მესამე	28	ქართული	10	ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, დაბა სტეფანწმინდა, ფიცხელაურის ქ. №13

დანართი 6

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02095	ჰიდროელექტრო სადგურის (ჰეს) ჰიდრო-მექანიკური ნაწილის ექსპლუატაციის ოპერატორი	პროფესიული მომზადება	მესამე	28	ქართული	12	შუახევის მუნიციპალიტეტი, ილია ჭავჭავაძის ქ. №8

დანართი 7

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02104	შინმოვლის სპეციალისტი	პროფესიული მომზადება	მეოთხე	8	ქართული	20	ქ. ქუთაისი, გალაქტიონ ტაბიძის 72/დ

დანართი 8

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01405	ტყის ინვენტარიზაცია და ტაქსაცია	პროფესიული გადამზადება	მეხუთე	12	ქართული	21	ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი №32გ

დანართი 9

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01423	გარემოსდაცვითი მმართველი	პროფესიული გადამზადება	მეხუთე	4	ქართული	25	ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი №32გ

დანართი 10

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01424	სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის კლიმატგონივრული დაგეგმვა	პროფესიული გადამზადება	მეხუთე	6	ქართული	25	ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი №32გ